ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
Newsletter

ღია კარის დღე ბათუმში

ბათუმში აბიტურიენტებისთვის ღია კარის დღე გაიმართა, რომელშიც სახელმწიფო უნივერსიტეტებმა და პროფესიულმა კოლეჯებმა მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიების ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ და აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა საგანმანათლებლო დაწესებულებების სივრცეები დაათვალიერეს და უნივერსიტეტებისა და კოლეჯების მიერ წარმოდგენილი პროგრამების შესახებ მიიღეს ინფორმაცია.

ღონისძებაში მონაწილეობდა ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საჩხერის ფილიალი, BTA-ის სტენდთან აბიტურიენტების მაღალი ინტერესი იყო, აკადემიის წარმომადგენლებმა სტუმრებს გააცნეს პროგრამები და კოლეჯში ჩარიცხვის პირობები!

დეპუტატ დავით ჭელიძის ვიზიტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი დავით ჭელიძე, ნაძალადევის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები და ნაძალადევის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები ესტუმრნენ.

სტუმრებმა კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე (წერონისის N208), უსაფრთხო გადაადგილების, მარეგულირებელი/შემაკავებელი ნიშნების განთავსებისათვის საჭირო პროცედურებზე იმსჯელეს.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ხელმძღვანელმა სოფიო მაჭარაშვილმა სტუმრებს პროფესიული განათლების დადებითი მხარეები, ასევე პრიორიტეტული პროფესიების სახელმწიფოს დაფინანსებით დაუფლების შესაძლებლობები გააცნო.